<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თემქის ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის ლევან ჭოჭუა სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, თემქის ქუჩას მიენიჭოს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის ლევან ჭოჭუას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

1 : 3171
გეოგრაფიული (გრძედი,გან

ლევან ჭოჭუა

(1985-2008)

რუსეთ-საქართველოს 2008 წელის აგვისტოს ომის დროს დაღუპული მებრძოლი, დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისთვის“.

დაიბადა სენაკში 1985 წელს. ის ერთ-ერთი იყო იმ შვიდი რეზერვისტიდან, ვინც სენაკის სამხედრო ბაზაზე დაიღუპა აგვისტოს ომის დროს, როცა რუსეთმა სენაკის ბაზა დაბომბა. ლევან ჭოჭუა მეომარი არ ყოფილა, ის მხოლოდ რეზერვისტი იყო. 22 წლის სტუდენტი ბიჭი გამოიძახეს.

სკოლის დამთავრების შემდეგ მოსკოვში წავიდა სასწავლებლად, მოსკოვის ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩააბარა და ორი წლის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში, ტექნიკურ უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა. დაამთავრა ბაკალავრიატი, ჩააბარა მაგისტრატურაში, ჟურნალ „ტრანსპორტში“ სამეცნიერო სტატიებს აქვეყნებდა. მუშაობდა ‘საქართველოს ბანკის“ დიდუბის ფილიალში მიკროდაფინანსების საკრედიტო ექსპერტად.

2008 წლის 8 აგვისტოს გაიწვიეს რეზერვში. დაიღუპა სენაკის ბატალიონის დაბომბვის დროს.

გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისთვის“.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

MOD 1 21 00840002

20/08/2021

თბილისის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ **მიხეილ ამაშუკელს**

ბატონო მიხეილ,

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, სამშვიდობო მისიებსა და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მებრძოლების სახელების უკვდავსაყოფად საქართველოს დედაქალაქსა და რეგიონებში მათი სახელები მინიჭებული აქვს ქუჩებს, სკვერებს, სკოლებს, ხიდებს, სპორტულ დარბაზებს, ღონისძიებებს და ა.შ.
ამასთან გაცნობებთ, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტი დაღუპული გმირების სახელების უკვდავსაყოფად აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან.
აქვე გაცნობებთ, რომ დეპარტამენტში შემოვიდა 2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული ლევან ჭოჭუას დედის ნუცა სერგია-ჭოჭუას განცხადება, სადაც გამოთქვამს სურვილს, რომ თბილისის რომელიმე ქუჩას (სკვერს) მიენიჭოს დაღუპული გმირის სახელი.
აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, 2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული ლევან ჭოჭუას სხსოვნის პატივსაცემად, თბილისში რომელიმე ქუჩის მონაკვეთს (სკვერს), მიენიჭოს "ლევან ჭოჭუა" -ს სახელი.

პატივისცემით,

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო / სოციალურ საკითხთა და ფსი
ქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
კარლო ლაბაძე